ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N23

ქ.ზუგდიდი **5 ოქტომბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: კახაბერ ჩანგელია, ჯონი ჯიქია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 10 წევრი. **კომისიის წევრების მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ კომისიის სხდომა დატოვა კომისიის წევრმა დავით ფიფიამ და კომისიის სხდომას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი.**

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ ბალანსზე რიცხული დასაწყობებული სამასალე მორების (კუბური მოცულობა 40,727) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი სარივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2020 წლის 13 აგვისტოს N15 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე- ..... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. ზუგდიდი რუსთაველის ქუჩა N79-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 1.0 კვ.მ. ფართი სს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

6. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423275184 მომართვა (რეგისტრაციის N12-252327523-25 2.10.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ ბალანსზე რიცხული დასაწყობებული სამასალე მორების (კუბური მოცულობა 40,727) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი სარივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 35-ე მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-7 მუხლის, შპს აუდიტორული ფირმა “ლაზიკა აუდიტის“ 2023 წლის 29 აგვისტოს N23/406 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად და ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ ((71-2423243182) (31.08.2023წ.), წერილის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 ოქტომბრის N24-2423275184 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს“ N43.31.49.143 საკადასტრო კოდზე დასაწყობებული სამასალე მორების ((1.აკაცია 1.984 კუბ.მ - 297,6 ლარი. 2. კედარი - 1,03 კუბ.მ - 238.4 ლარი. 3. კლიპტომერია - 3,113 კუბ.მ– 996,2 ლარი. 4. ლაფანი - 2,537 კუბ.მ - 611,8 ლარი. 5. მარადმწვანე მუხა - 0,45 კუბ.მ - 225 ლარი 6. ფიჭვი-1,88-კუბ.მ-486,9 ლარი 7. წაბლი 5.233კუბ.მ - 1569,9 ლარი 8. მუხა - 2,54 კუბ.მ - 1245,2 ლარი 9. წიფელი - 15,11 კუბ.მ - 5325,1 10. ხე-ტიტა - 6,85 – 2055 ლარი. ჯამში კუბური მოცულობა 40,727; თანხა 13051 ლარი) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 13051 (ცამეტიათასორმოცდათერთმეტი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის“ ბალანსზე რიცხული დასაწყობებული სამასალე მორების (კუბური მოცულობა 40,727) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი სარივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 3 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423276145 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232769-25 3.10.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2020 წლის 13 აგვისტოს N15 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარე-..... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში მიღებული მოქ. ..... 2023 წლის 04 სექტემბრის განცხადების (რეგისტრ. N19/2423247164-24) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 3 ოქტომბერის N24-2423276145 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გაცემული უძრავი ქონების (ქ. ზუგდიდში მდებარე ზ.გამსახურდიას გამზ. N23 (ს/კ.43.31.55.630), ზ.გამსახურდიას გამზ. N28 (ს/კ.43.31.49.372), ზ.გამსახურდიას გამზ. N29 (ს/კ.43.31.55.630), რუსთაველის ქ.N94 (ს/კ.43.31.49.407), რუსთაველის ქ. N94 (ს/კ.43.31.56.310) და რუსთაველის ქ. N94-ში (ს/კ43.31.56.310) 6 (ექვსი) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (თითეული 1 კვ.მ)) მოიჯარეს ფ/პ ..... იჯარის N15 ხელშეკრულებით (13.08.2020წ) ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეორე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ეს არის ჩასარიცხი აპარატები 6 ლოკაციაზე, ხელშეკრულება ..... გაფორმდა 2020 წელს. პანდემიის პერიოდში მიუწია რამდენიმეჯერ ხელშეკრულების დარღვევა იმ პერიოდში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე. დღეის მდგომარეობით ვალდებულება არ არსებობს, დახურულია. უბრალოდ ჩვენ, სამსახური ვალდებული ვართ იმ პერიოდის საურავი დაგვერიცხა, რომელმაც შეადგინა საკმაოდ დიდი თანხა -9695 ლარი. ..... წარმოადგინა ცნობა ავადმყოფობის შესახებ (საჭიროებს პერიოდულ მკურნალობას), ასევე აქვს დაახლოებით 101 000(ასერთიათასიევრო) ევროს საბანკო ვალდებულება და ყველაზე მთავარი ის არის, რომ მერია ნაწილობრივ აღიარებს თავის ბრალეულობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დროულად არ ხდებოდა რეაგირება, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა კონტროლის მექანიზმი. მსგავსი დაჯარიმების არის 4 შემთხვევა-ერთი იყო 20 000(ოცათასილარი) ლარიანი, მეორე 50 000(ორმოცდაათიათასილარი) ლარიანი, რომელიც სასამართლოშია, 3000(სამიათასილარი) ლარიანი ჯარიმა გადახდილია და ეს საკითხი რომელიც მიმდინარეა. ეს არის სამუშაო პროცესი. ვაღიარებთ, რომ კონტროლის მექანიზმი არის მოსაგვარებელი და მივიღეთ გადაწყვეტილება რომ ერთი შტატი დაემატოს შესაბამის განყოფილებას. ქონების და საფინანსო სამსახურის ოცწლიანი დავის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა კონტროლის მექანიზმის შემუშავება და სწორედ ამიტომ გახდა შტატის დამატების საჭიროება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ შტატის დამატება ნამდვილად არ გჭირდებათ. იურიდიულ სამსახურთან რატომ არ გაქვთ ურთიერთობა. ხელშეკრულებას როცა აფორმებთ, წესით ერთი ეგზემპლარი იურიდიულ სამსახურს უნდა ჰქონდეს.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „რა თქმა უნდა, ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი აქვს როგორც ქონების, ისე იურიდიულ და საფინანსო სამსახურს.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „სამივე სამსახურმა ბრძანებით თავიანთ ერთ თანამშრომელს რომ დააკისროს ვალდებულება ხელშეკრულების ვადების კონტროლის არ იქნება საჭიროება ახალი შტატის დამატების.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „ქონების სამსახურში 6 თანამშრომელი მუშაობს და ყოველდღიურად დაახლოებით 80 წერილი შემოდის და შესაბამისად ვერ მოხერხდება ხელშეკრულების კონტროლი.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „გასაგებია, მაგრამ წლის განმავლობაში მაქსიმუმ 20 ხელშეკრულება გაფორმდეს და ამის კონტროლი არ არის რთული.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ექსელის მარტივი ცხრილით შეიძლება ამის კონტროლი.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმ აღნიშნა: „სამწუხაროდ, ექსელის ცხრილი არ ყოფნის. ფინანსთა სამინისტროსთან გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული და მუშავდება სპეციალური პროგრამა, რომელიც რიცხავს და აღრიცხავს იჯარებს, ქონებებს, მოძრავ და უძრავ ქონებას, ხიდს, ბოგირს ერთი სიტყვით ყველა სახის ქონებას.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ხიდ-ბოგირებზე და ქონებების რაოდენობაზე არ მაქვს საუბარი. ჩემი მერობის პერიოდში შიდა ბრძანებით გვყავდა მიმაგრებული ხელშეკრულებების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ყველამ იცოდა ეს საკითხი, ყველასთან გავლილი იყო, დავალებულიც იყო, მაგრამ სამწუხაროდ 15-16 წელია ეს პრობლემა არსებობს.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „საინტერესოა პრაქტიკულ ნაწილში ბოლო 5-6 წლის განმავლობაში მსგავსი შემთხვევები თუ იყო.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „სწორედ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში მოხდა ეს დაჯარიმებები.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „როგორც თქვენ აღნიშნეთ, ამ ქალბატონის მძიმე სოციალურ ყოფას ადასტურებთ. კომისიამ (მერიის შესაბამისმა) როდესაც მიიღო გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე თქვენთვის ცნობილი იყო ეს ფაქტი (მძიმე სოციალური მდგომარეობა).“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ჩვენ უფლება არ გვქონდა რომ ჯარიმა არ დაგვერიცხა. ჩვენ ჯარიმისგან ვერ გავანთავისუფლებთ, ეს საკრებულოს პრეპოგატივაა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მეორე კომისიაზე რომ შეიკრიბეთ ხომ მიეცით თანხმობა ჯარიმისგან განთავისუფლებაზე. ახლა რომ დააჯარიმეთ ბუნებრივია ჩვენთან უნდა შემოხვიდეთ წინადადებით ისე თქვენ ვერ გაანთავისუფლებთ. მე სხვა რამეს ვამბობ, რომ კომისია გადაწყვეტილებას რომ იღებს, მანამდე გარემოებები უნდა შეისწავლოს და მერე მიიღოს გადაწყვეტილება. თქვენ ამბობთ რომ აქ ნაწილობრივ მერიის ბრალეულობაც არის. ხელშეკრულება გაფორმდა 2020 წლის 12 თუ 14 აგვისტოს, 2021 წელს ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ვადის გასვლიდან 2 წელი გავიდა და სამსახურს, რომელიც ქონებაზეა პასუხისმგებელი, საერთოდ არ მოუკითხავს ქონების მდგომარეობა ამ ორი წლის განმავლობაში, მერე კიდევ მოქალაქე 9 000(ცხრაათასილარი) ლარით დააჯარიმეთ. კომისიას პასუხისმგებლობის აღების შეეშინდა? ახლა როცა დააჯარიმეთ, ბუნებრივია უკვე საკრებულომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე. მაგრამ, სანამ ამას აკეთებთ და მოქალაქეს აჯარიმებთ, თქვენი თანამშრომლის გადაცდომაზე უბრალოდ უხერხულობას მაინც არ გიქმნით მერე მოქალაქემ რომ უნდა ირბინოს

დოკუმენტაციის მოძიებასა და შეგროვებაზე, მერე ისევ შეიკრიბოთ და თანხმობა განაცხადოთ ჯარიმის უკან გაწვევაზე და მერე საკრებულოში შემოიტანოთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „სწორედ ამიტომაც ვიღებთ ამაზე პასუხისმგებლობას და ჩვენ კომისიურ ოქმში სწორედ ეს არის დაფიქსირებული რომ შევდივართ ამ მოქალაქის მძიმე მდგომარეობაში.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „თუ ასეა, თავიდანვე არ უნდა დაგეჯარიმებინათ, მით უმეტეს როცა რომ საკუთარ ბრალეულობაზე საუბრობთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „ჩვენ ვალდებული ვართ რომ დავაჯარიმოთ. ჩვენი ბრალეულობა იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა გავაჯარიმოთ, როცა მოქალაქემ პირობები დაარღვია.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „სამართლებრივი შეფასება მაინტერესებს, ბრალეულობა თქვენია?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „მოქალაქემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, მაგრამ მერიამ ვერ აღრიცხა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ეს თქვენი შეხედულებაა. თუნდაც ინსპექტირების ნაწილში, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში მხარის ბრალეულობა არ იკვეთება მაინცდამაინც უნდა დაჯარიმდეს, ეს არის პასუხისმგებლობისგან თავის არიდება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „სხვა შემთხვევაში ეს გულგრილობაში ითვლება.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ბატონო ირაკლი, გულგრილობაში ისიც ითვლება, რომ ქონება 2 წელი ისე არის მიგდებული და პიროვნება ხელშეკრულების გარეშე სარგებლობს.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „მოქალაქე ფაქტობრივად იხდის შესაბამის თანხას.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ფაქტობრივად რამდენს იხდის, 2020 წელს შეფასებულს? იქნებ 2022 წელს ორმაგად ძვირად გაგვეცა სხვაზე ეს ქონება. ფაქტიურად დაკარგული შემოსავალია.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „სწორედ ისევ და ისევ არასრული კონტროლის მექანიზმამდე მივდივართ.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „თქვენ რასაც ამბობთ იმას უნდა ერთი ექსელის ცხრილი და არა შტატის დამატება, რომელსაც ძალიან მარტივად, ტექნიკურად ხელშეკრულებას ვადის რომ ეწურება ავტომატურად წითლად ანათებს. 50 იჯარის ხელშეკრულებას კი არა შესყიდვების სამსახური 100-200 ტენდერს აკონტროლებდა თავისი 3 დღიანი და 2 დღიანი ვადებით. მონდომების საკითხია, თორემ შტატის დამატება არაფერში არ სჭირდება ამას. ეს არ არის პირველი შემთხვევა, ჩემთან პირადად მოდიან ადამიანები, ვინც დაჯარიმდა საკმაოდ სოლიდური თანხით და მიზეზად ამბობენ იმას, რომ საკრებულომ უნდა გაანთავისუფლოს, მაგრამ მერია ვერაფერს ვერ გააკეთებს. მერიას ჩვენკენ გადმოაქვს გადაწყვეტილების ისრები. “

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „უბრალოდ ყველამ იცის კანონი, რომ მერია ვერ გაანთავისუფლებთ ჯარიმისგან და ამიტომ შესაბამისად გაწუხებენ თქვენ (საკრებულოს).“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ჯერ ერთი მერიამ მსგავსი ხარვეზი არ უნდა დაუშვას და უკვე დაჯარიმებულზე თქვენ რომ ვერ მიიღებთ გადაწყვეტილება ეს კი ვიცით.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „გეთანხმებით აბსოლიტურად.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „გასაგებია მერიამ არ გაახსენა მოიჯარეს, მაგრამ მოიჯარეს ეს არ ანთავისუფლებს ჯარიმისგან, ხელშეკრულებით ხომ იცოდა რომ გადასახდელი ჰქონდა იჯარა. დღევანდელ სხდომაზე რომ ყოფილიყო მოიჯარე უფრო ნათელი სურათი მექნებოდა მე პირადად. ხელშეკრულებას როცა ხელს აწერს ორივე მხარე იქ ყველაფერი მოცემულია ჯარიმებიც და საურავების დარიცხვაც. იცი რომ გადასახდელი გაქვს გარკვეული თანხა. კარგი, 2020 წელს პანდემია იყო და ნაკლები ხალხი დადიოდა, მაგრამ საბანკო გადარიცხვებში და თანხის შეტანაში შეზღუდვები არ იყო.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „2021 წელს ეწურებოდა ვადა და 2022-2023 ისე იყო ხელშეკრულების გარეშე?“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „ვადა ამოეწურა და ხელშეკრულება გაუქმებულია?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „პროცესი დაწყებულია, შემოტანილია განცხადება და ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე ვმუშაობთ.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „გულწრფელად რომ ვთქვათ, თვითონ იმ ქალბატონმა შეგახსენათ ამ მიწის არსებობის შესახებ?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „სიმართლე რომ გითხრათ, ზედამხედველობის სამსახურმა მიიღო დავალება ყველა ჩასარიცხი აპარატები შეემოწმებინა და სწორედ ამ დროს გაირკვა ეს საკითხიც.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „მაშინ გამოთქმისა არ იყოს „ვაის გავეყარე და უის შევეყარე“ გამოდის, რადგან ყველაფერი უნდა დაუბრუნოთ იმ ქალბატონს, რაც იმის შემდეგ გადაიხადა.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „ვერ დავაბრუნებთ, რადგან ფაქტიურად ის სარგებლობს ამ ფართით (დგას გადახდის აპარატები და ეწევა საქმიანობას).“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ განაცხადა: „მაშინ ეს ზედამხედველობის და მერიის მინუსი არ არის.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „შიდა აუდიტი აკეთებს ამაზე მოკვლევას ბატონო ლაშა?“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „სწორედ შიდა აუდიტმა რომ დაგვიწერა ასეთი თემები.“

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 1 (ირაკლი გოგოხია)

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 2020 წლის 13 აგვისტოს N15 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ..... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან განთავისუფლებაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 3 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423276179 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232771-25 4.10.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,

სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ოქტომბრის N N24-2423276179 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N96-ში მდებარე 1849,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.56.310) 1,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გასცეს ფ/პ ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 3 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423276178 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232772-25 4.10.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. ზუგდიდი რუსთაველის ქუჩა N79-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 1.0 კვ.მ. ფართი სს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ოქტომბრის N24-2423276178 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ქ. ზუგდიდი,

რუსთაველის ქ. N79-ში მდებარე შენობაში განთავსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2303,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართიდან (საკადასტრო კოდი: N 43.34.03.105.01.515) შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი 1.0 კვ.მ. გასცეს სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით სს ..... ბანკომატის განსათავსებლად. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 3 600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თამუნა ჯიქიამ აღნიშნა: „.....მივმართოთ და გუბერნიის შენობაშიც განათავსოს თავისი ბანკომატები, რადგან საკრებულოს თანამშრომლების და წევრების დიდი ნაწილი მისი მომხმარებლები არიან და მათთვის მოხერხებული იქნება სერვისით სარგებლობა.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „აღნიშნულ საკითხზე მივწერთ ..... ცნობისთის მინდა მოგახსენოთ, რომ ..... დაჯარიმდა 580 ლარის ოდენობით.“

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე ქ. ზუგდიდი რუსთაველის ქუჩა N79-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 1.0 კვ.მ. ფართი სს ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 4 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242327716 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232774-25 4.10.2023 წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 4 ოქტომბრის N24-

242327716 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირი N19-ში მდებარე 10740,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.49.640) 2,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გასცეს ფ/პ .....სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 960 (ცხრაასსამოცი) ლარის ოდენობით. (გაზეთის/პრესის ჯიხური).

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ჩემი შეხედულებით მსგავს შემთხვევებში უმჯობესია იჯარა გაიცეს 1 (ერთი) წლის ვადით, რამე გარემოებები რომ შეიცვალოს იქიდან გამომდინარე. ამის განხილვა ყოველ წელს შეიძლება.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განაცხადა: „შემდგომი იჯარების დროს გავითვალისწინებთ აღნიშნულ შენიშვნას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეხუთე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია